

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ.ვანი თავისუფლების N65

30 ივლისი 2019 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, ამირან ტალახაძე,
სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი - გიგა ბუაძე

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე.**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: გიგა ბუაძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა ბუაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის 1 სტაციონარულ პოლიკლინიკური გაერთიანება -ჯეოჰოსპიტალსი -ვანი“, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური - 112, შ.პ.ს. „ფარმაცია-ვანი“- დიაგნოსტიკური ამბულატორიულ - პოლიკლინიკური ცენტრი და 17 ამბულატორია, უფრო კონკრეტულად 17 „სოფლის ექიმი“ და მათთან ერთად 18 „სოფლის ექთანი“.

აღნიშნულ დაწესებულებებში, ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მეშვეობით ხორციელდება შემდეგი სახელმწიფო პროგრამები:

1. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელება;
2. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა;-განხორციელება;
3. დაავადების კონტროლის პირველადი ღონისძიებები;

4. დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება;

მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარდა მონიტორინგი წყალმომარაგების, სანიტარისა და ჰიგიენის მდგომარეობის შესასწავლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 14 საჯარო სკოლისა და 11 სკოლამდელ დაწესებულებაში.

ასევე საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირდა ბრუცელიოზით დაავადებული ერთი ადამიანი, რომელიც გადის მკურნალობას შესაბამისი პრეპარატებით.

კომისიამ წევრმა ბატონმა დავით ხარძეიშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში საჭიროა შემოწმდეს ყველა პირუტყვი, რადგან აღნიშნული დაავადება არის მეტად დამაზიანებელი თითოეული ადამიანისთვის, დავწეროთ მოხსენებითი ბარათი და გავაგზავნოთ შესაბამის სამსახურში.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერის მოადგილემ ბატონმა გოჩა ჭუბაბრიამ გააგზავნა წერილი აღნიშნულის შესახებ, რომლის პასუხი ჯერჯერობით არ მოსულა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა

/დანართი 2/

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე